ხალხთა ერთიანობას გაუმარჯოს!

ლეხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№137 (6363) 15 ნოემბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

გუშინ, 14 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. დაე, ეს დღე ყოფილიყოს საქართველოს განთავისუფლების სამანი!

ვიჩქარეთ, მოსავალი გარეთ არ დაგვრჩეს

ახლა, გვიანი შემოდგომის ამ დღეებში უამრავი საზრუნავი აქვთ ჩვენი სოფლის მშრომელებს, მადლობა ღმერთს, რომ შემოდგომამ უხვად დაიბერტყა კალთა, ამდენი ყურძენი, ამდენი ხილი უკანასკნელი წლების მანძილზე არ მოუწევია ჩვენს მშრომელებს, მაგრამ ახლა მოწეული მოსავლის აღება არც თუ ისე ხელსაყრელ პირობებში ხდება, ხშირად წვიმს, მთების მწვერვალები თეთრად შეღებილა, ზაფხარი გვიანლოვდება, განსაკუთრებული სიბეჯითე, მონდომებული შრომაა საჭირო, რომ მოწეული მოსავალი დაუბინაველელი, ღია ცის ქვეშ არ დარჩეს.

არადა არც თუ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ყურძნის კრეფა, ცაგერის ღვინის ქარხნის 13ნოემბრის ცნობით რაიონის ღვინის საწარმოებში 1708 ტონა ყურძენია მიტანილი, ყველაზე დიდი რაოდენობის ყურძენი ორბელის ღვინის საწარმოშია ჩაბარებული, ხულ აქ 1187 ტონა უნდა მიიტანონ და გადაამუშაონ, დღეისათვის კი 1203 ტონაა მიტანილი.

როგორც ცაგერის დამზადების გაერთიანებიდან გვატყობინებენ, დღეისათვის აქ 3311 ტონა ხილია დამზადებული, გეგმით კი 4270 ტონა თესლოვანი ხილი უნდა მიიღონ. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლამ საგეგმო დავალების შესრულება საკარმიდამო მეურნეობას დააკისრა და ბუნებრივია, ჭარბი რაოდენობით თესლოვანი ხილი ახლა საკარმიდამო მეურნეობიდან ბარდება დამამზადებელ პუნქტებს.

ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა და გეგმა შესრულებული აქვთ ლაილაშის, წიფერჩის, ზუბისა და ოყურეშის სასოფლო საბჭოების მშრომელებს.

მაგრამ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ალპანის რეგიონში, სადაც 176 ტონა თესლოვანი ხილი უნდა ჩაბარონ და მხოლოდ 22 ტონაა ჩაბარებული. მსგავსი მდგომარეობაა ორბელში, სადაც 81 ტონა თესლოვანი ხილია დამზადებული, გეგმა კი 228 ტონაა, ხოლო ტვიშის რეგიონში სულ 84 ტონა ხილი უნდა დამზადდეს და დღეისათვის არც ერთი კილოგრამი დამზადებული არა აქვთ.

სიძნელეები არის ხილის ტრანსპორტირების საქმეში, რაც საწვავის უქონლობითაა გამოწვეული, მაგრამ საწვავის არსებობისას ტრანსპორტისა თუ ტარის უქონლობით სიძნელეები არ უნდა შეექმნათ ხილის დამამზადებლებს, რომ დამამზადებელ პუნქტებში მიტანილი ხილი არ იზარალონ და დროულად გადაზიდონ ქარხნებში.

თავისუფლების ზღურბლზე

ჩვენი სამშობლო თავისუფლების მიჯნასთან დგას. თბილისში მუშაობს საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრაქტიკულ განხორციელებას. ის, რაც გუშინაც კი წარმოუდგენლად ვეჩვენებოდა, დღეს უკვე რეალობაა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ბატონი ზვიად გამსახურდია, შეიცვალა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა. სესიის უაღრესად საქმიანი ხასიათი, დეპუტატთა საკანონმდებლო აქტიურობა იმის გარანტიაა, რომ საქართველო მალე იპოვის თავის ადგილს მსოფლიოს ევანვითარებულ ქვეყნებს შორის.

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შეიდა. მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება, ამის თავდები თვით ქართველი ხალხია.

ია ხმელიძე.

თქვენი იქმნება ბარაქა

ჩვენდა სასიკეთოდ მოსავლიანი და ბარაქით სავსე გამოდგა წლევანდელი შემოდგომა, განსაკუთრებით კმაყოფილი არიან ჩვენი მევენახეები, შრომა დაუფასდათ დღე და ღამ ვაზის მოვლაში დამაშვრალ ადამიანებს.

მევენახეთა გარჯით მოწეული მოსავალი ოჯახური საჭიროებისათვის იწურება, ხოლო ნამეტი ღვინის საწარმოებს ბარდება. ორმაგი სიხარული განიცადეს წელს ჩვენმა მშრომელებმა. ჯერ ერთი, რომ ამინდმა გაამართლა, მოსავალი კარგია და მეორე ის, რომ ყურძნის ფასმა მოიმატა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ყურძენში გადიდებულ ფასს წელს პირველად იღებენ მევენახეები.

ზუბი-ისუნდერი და ოყურეში მევენახეობის რეგიონია, ვაზის ისეთი უნიკალური ჯიშებისაუფლოა, როგორიც უსახელოური, ცოლიკაური და ოჯალეშია.

გვიანი შემოდგომაა, მაგრამ ოყურეშის ღვინის საწარმოში მაინც ყურძნის ჩამბარებელთა სიმრავლეა, რადგან შაქრიანობაზე, ყურძნის ხარისხზეა დამოკიდებული ყურძნის ფასი, მევენახეებმაც დააყოვნეს და ვიდრე ყურძენი კარგად არ დაშაქრდა, ზკრები მანამ არ დაკრიფეს. აქ მრავლადაა ისეთი მევენახე, რომლებმაც მოწეული მოსავლიდან რამდენიმე ტონა ყურძენი მიუწონა ღვინის საწარმოს და ანაზღაურებითაც კმაყოფილია. ასე, მაგალითად ისუნდრელმა **ავდიდო ჩაკვეტაძემ** საკარმიდამო მეურნეობის 3 ტონა ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი მიუწონა ოყურეშის ღვინის საწარმოს და ანაზღაურებითაც არ დარჩენილა უკმაყოფილო, 4200 მანეთი შემატა ოჯახურ ეკონომიკას, ოყურეშელმა **ჯემალ ყურაშვილმა** 3,2 ტონა ყურძენი ჩააბარა საწარმოს და ანაზღაურებამ 4000 მანეთზე მეტი შეადგინა. ყურძნის კარგი მოსავალი მოიწია ზუბელმა **გუშერ ბენიძემ**, მან ღვინის საწარმოს 3,5 ტონა ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი მიჰყიდა, საკარმიდამო მეურნეობიდან ოჯალეშის ჯიშის ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს ოყურეშელებმა **ვახტანგ უგრეხელიძემ, კაკო ყურაშვილმა, ოთარ უგრეხელიძემ** ისუნდრელმა **ბარდლა აკობიძემ**, ზუბელმა მევენახეებმა—**გრიშა ნემსწვერიძემ, იური ომანაძემ** და სხვებმა.

ყურძნის მიღება-გადამუშავება გრძელდება. ოყურეშის ღვინის საწარმომ სულ 400 ტონა ყურძენი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს, ვარაუდობენ რომ გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

ჩვენი დღეების ადამიანები

შურჯი

ოჯახი უზარმაზარი ტვირთია, ორმაგად მძიმეა ეს ტვირთი, როცა ბედის მუხთლობით ქალს დააწვება სუსტ მხრებზე. მაგრამ აბა, ქალი რის ქალია, თუ ჭირს არ გაუმაგრდა და სულის სიმტკიცე არ შეინარჩუნა. სოფელ ლაილაშში ცხოვრობს ერთი ასეთი ქალი—ნარგიზა გრიშას ასული ლაშხი. მუხლჩაუხრელი შრომით, დღედაღამ შვილებზე ფიქრით და დარდით მიუყვება ცხოვრების მძიმე შარაგზას, აღმართ-დაღმართებით დაღარულს, სიხარულით და ტკივილით სავსეს, და მაინც ამაყად უჭირავს თავი, რადგან იმედი ასულდგმულებს, იმედი ათბობს, იმედი შვილებისა, რომლებმაც დედას ამაგი არ გაუმტყუვნეს, უფროსი ვაჟი ბეჟანი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ახლად დაოჯახებულია. საშუალო, მერაბი დიდი ხანი არაა, რაც სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა და ქუთაისში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს მიაშურა, ხოლო უმცროსმა, ალექსანდრემ ქუთაისის მაცივრების შემკეთებელი ტექნიკუმი დაამთავრა, სამუშაოდ მშობლიურ რაიონში დაბრუნდა და ოჯახს მხარში ამოუდგა. სხვა რაღა უნდა მზრუნველ დედას, სამივე შვილმა იპოვა ცხოვრებაში საკუთარი ადგილი, სამივე მშვენივრად გაუძღვა თავის მომავალს, ოჯახში სითბო და სიხარულია. ამისათვის შრომობდა, ამისათვის იღვწოდა და იმედმაც არ უმტყუვნა.

გლეხურ მეურნეობაშია ჩაბმული ოჯახი. ნარგიზა ლაშხი 0,1 ჰექტარ ვენახს უვლის, შვილივით ელოლიავება ვაზს და ისიც უფასებს ამაგს. მასვე აქვს მოსავლელად 0,4 ჰექტარი სიმინდის ყანა. შრომაა მისი სულის სალბუნი და შრომაში ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს.

ქალბატონ ნარგიზას თმებზე უკვე ჭაღარა წლებია იწყეს დათოვა. უკვე მოიხადა მან დედური და ქალური ვალი, როგორც შეეძლო. მაინც არ ეშვება საქმეს, საქმეც არ ელევა და ასე ურთიერთჭიდილში, თვალსა და ხელს შუა გადიან წლები, წლები, რომელიც მეტი სილამაზით, მეტი დიდებით ამკობენ ქართველი დედის, ქართველი ქალის ცხოვრებას.

მადონა მახაროგლიძე.

ნომრის შიგა გვერდებზე

გთავაზობთ:

* არა, ორი თაგმჯდომარე საბირო არაა
* საგაზრო ეკონომიკის ზღურგზთან
* რეზონანსი

II გვ.

* არა მხოლოდ ჩინისათვის
* პოლიომიელიტი საშიში დაავადებაა

III გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

ბობოქარი დრო დაგვიდგა, ელვისებურად იცვლება ვითარება, შეუძლებელი ხდება მოვლენების არათუ შორეული, არაძედ უახლოესი პერიოდის პროგნოზირება, ორი-სამი წლის წინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა იმ პროცესებს, რაც დღეს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს. ბევრ დასკვნას, რაც მანამდე უდაო ჭეშმარიტებად მიგვაჩნდა, საფუძველი გამოეცალა და ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა, თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს მოწყდა, საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა რწმენა დაკარგა, ხოლო რწმენადაკარგული კაცი საზოგადოების სრულფასოვანი წარმომადგენელი ვერ იქნება. წარმოუდგენლად დაეცა კომუნისტური პარტიის—„ჩვენი ეპოქის გონების, სინდისა და პატიოსნების“—ავტორიტეტი, ხალხის დიდმა ნაწილმა მას ზურგი შეაქცია და მის წინააღმდეგ განეწყო. ეს კი არც მოულოდნელი და არც გასაკვირია, პარტიის 70-წლიანმა განუყოფელმა ბატონობამ სრული კრახი განიცადა, ქვეყანა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის წინაშე დააყენა. ყოველივე ამის მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად ისიცაა, რომ 50-იანი წლებიდან, როგორც ცენტრში, ასევე პარტიის ძირეულ რგოლებში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც პარტიის ავტორიტეტის ზრდის, ხალხის მასების ნდობის მოპოვებისა და განმტკიცების, ეკონომიკის წინსვლისა და კადრების ცოდნისა და უნარის მიხედვით განაწილების ნაცვლად, თავიანთი თავისა და ახლობლებისათვის უზრუნველი ცხოვრების შექმნისთვის იღვწოდნენ. პარტიულ და სამეურნეო თანამდებობაზე დაუმსახურებლად აწინაურებდნენ ნათესავებს, ახლობლებს, მათთვის სასურველ პირებს. ასე იყო მთელ კავშირში, ასე იყო რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ასე იყო ჩვენს რაიონშიც.

ორი თავმჯდომარე

რიგითი კომუნისტებისა და მოქალაქეების თვალში პარტიის ავტორიტეტის ზევით აწევა, ან ქვევით დაქანება ჰგავს ბარომეტრს, რომელიც იმის მიხედვით მოძრაობს, თუ როგორია ხელმძღვანელის პირადი თვისებები, მისი უნარი, მისი საქმიანობა. თუ იგი სამართლიანია, უნარიანია, თავისი საქმის ერთგულია, ბარომეტრი მაღლა იწევს და პირიქით, თუ ხელმძღვანელის ავტორიტეტი დაბლა იწევს, პარტიის ავტორიტეტიც დაბლა მიექანება. რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს იმ რაიონულ კომიტეტსა და მის პირველ მდივანს, რომელიც მასთან მისულ კომუნისტს თუ უპარტიო მთხოვნელს ტყუილი დაპირებებით ისტუმრებს, თან ისეთი ტყუილით, რომელიც კაბინეტიდან გამოსვლისთანავე აშკარა ხდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ მსგავსმა ფაქტებმა გამოიწვია პარტიის ავტორიტეტის დაცემა, ამან კი თავის მხრივ მოშალა დისციპლინა, არ სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნები, ბევრი დადგენილება და მითითება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ქვეყანა ანარქიის წინაშე დადგა, არნახულად გაიზარდა დამნაშავეობა, ხსნა თითქოს არსაიდან ჩანს.

ხრუშჩოვის დროიდან დაწყებული ბოლო არ უჩანს ათასგვარ გაუმართლებელ ექსპერიმენტსა და ცდას, რაც ძეტად ძვირად უჯდება ჩვენს ხალხს.

ჩემი აზრით, გაუმართლებელია სახელმწიფოს პრეზიდენტისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტის ერთი და იგივე პიროვნების მიერ დაკავება, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობების შეთავსება. ნუთუ 18 მილიონიან კომუნისტთა არმიაში არ მოიპოვება პიროვნება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობას შეასრულებს, ანდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ოთხასიათასი წევრიდან არავინ მოინახა ისეთი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შესაფერისი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს არაა მიზეზი, მთავარი ისაა, რომ პარტიას არ სურს ხელიდან გაუშვას ძალაუფლება და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს ხელმძღვანელი როლი ხელისუფლების ორგანოებზე.

საჭირო ქრაქა

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში გავრცელდა, ჩემი აზრით, კიდევ ერთი გაუმართლებელი ექსპერიმენტი. მხედველობაში გვაქვს პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის მიერ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის ერთდროულად დაკავება. თუ რესპუბლიკურ რგოლში უმაღლესი საბჭოს მართალია, შეთავსებით, მაგრამ მაინც ერთი თავმჯდომარეა, რაიონულ რგოლში ნაცვლად ერთისა ერთდროულად მივიღეთ რაიონული საბჭოს ორი თავმჯდომარე.

ისმება კითხვა, რა აუცილებელი იყო ეს? ამბობენ, თითქოს ეს განხორციელდა საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი მოსაზრება ძირშივე მცდარია. დღესდღეობით პარტიის რაიონული კომიტეტის ავტორიტეტი გაცილებით დაბალია, ვიდრე რაიონული საბჭოსი და არ შეიძლება დაბალი ავტორიტეტის მქონემ ავტორიტეტი აუწიოს უფრო მაღალი ავტორიტეტის მქონეს. ცხადია, აღნიშნული განხორციელდა იმისათვის, რათა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა კვლავ შეინარჩუნოს თავისი გავლენა საბჭოებზე. საბჭოებს კვლავ მოახვიონ თავს თავიანთი შეხედულებანი და გავლენა იქონიონ მათ საქმიანობაზე, რაც მცდარია და არაფრით არ არის გამართლებული. ან უნდა გაუქმდეს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის თანამდებობა, ან რაიონული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, იმ პირობით, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა არ ეკავოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

ამას გარდა უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში მრავალი პარტია შეიქმნა, ვფიქრობ, არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ მომავლისათვის ბოლო მოეღოს მრავალპარტიულობას და ისევ რომელიმე ერთი პარტიის განუყოფელ ბატონობაზე გადავიდეთ. მრავალპარტიულობა ჩვენთან ალბათ სამუდამოდ დაკანონდება, ამასთან ამ პარტიებს მოქმედების თანასწორი, ერთნაირი პირობები უნდა ექნეთ, სხვანაირად წარმოუდგენელია. თუ კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეც უნდა იყოს, მაშინ სხვა პარტიებმა რა დააშავეს, გამოდის, რომ რაიონში ერთდროულად უნდა გვეყოლოს სახალხო დეპუტატთა აღმასკომის იმდენი თავმჯდომარე, რამდენი პარტიაც იქნება, ეს ხომ აბსურდია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომაც ყოვლად გაუმართლებელია რაიონში ერთდროულად ორი ასეთი თანამდებობის არსებობა.

მწამს, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭო აუცილებლად მიიღებს გადაწყვეტილებას მმართველობის ამ ზედმეტი რგოლის გასაუქმებლად.

არც ისე დიდი დროა დარჩენილი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე, მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნოთ, რომ რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა არჩევის არსებული წესი აღარ შეეფერება დღევანდელ მოთხოვნებს. მხედველობაში გვაქვს რაიონული და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების აღმასკომების სესიებზე არჩევა, რომლის დროსაც (ყოველ შემთხვევაში დღემდე ასე იყო) პარტიის რაიონული კომიტეტის ან ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელი გამოდიოდა წინადადებით: „არის მოსაზრება, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ (ან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ) ავირჩიოთ მავანი და მავანი“. დეპუტატებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ და სურდათ თუ არ სურდათ, ხელს სწევდნენ კანდიდატის სასარგებლოდ. ხდებოდა თავმჯდომარის კანდიდატურის დეპუტატებისათვის თავსმოხვევა: ვფიქრობ, გაცილებით დემოკრატიულია, და არასასურველი კანდიდატის თავს მოხვევის შესაძლებლობა ლიკვიდირებული იქნება, თუ თავმჯდომარის არჩევა მოხდება არა სესიების მიერ, არამედ რაიონის მშრომელთა უშუალო მონაწილეობით, პირდაპირი არჩევნების წესით, ფარული კენჭისყრით, ამასთან თავმჯდომარის კანდიდატურა აუცილებლად უნდა იყოს არანაკლებ ორისა, ისე, როგორც ეს ხდება ქალაქის მერის არჩევნების დროს სხვა ქვეყნებში.

აღნიშნული საკითხი დასმული უნდა იქნას ახლად არჩეული პარლამენტის წინაშე, რათა სათანადო ცვლილებები შეტანილი იქნას რესპუბლიკის კონსტიტუციასა და საარჩევნო დებულებაში.

დასკვნა ერთია—არაფრით არ არის გამართლებული ერთდროულად რაიონული საბჭოს სახალხო დეპუტატთა ორი თავმჯდომარის თანამდებობის არსებობა.

ს. ფუტკარაძე.

საბაზრო ეკონომიკისაკენ ზღურბლთან

აბაშელი კომერსანტები

აბაშის რაიონის ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ ნაყიდმა ჩარხებმა, რომლებიც ჯერ კიდევ დაუმონტაჟებელი იყო, თავიანთი ჭეშმარიტი პატრონები შეიძინეს. ჩარხებს სიცოცხლე დაუბრუნეს აბაშის რაიაღმასკომთან შექმნილი კომერციული ცენტრის მუშაკებმა, რომელთაც ეს „მკვდარი კაპიტალი“ აღმოაჩინეს და დაინტერესებული მომხმარებელიც მოუნახეს.

—ჩვენი მიზანია,—თქვა ცენტრის დირექტორმა, რაიონის საფინანსო განყოფილების ყოფილმა მუშაკმა, ამჟამად კი საქართველოში ერთ-ერთ პირველ ოფიციალურ კომერსანტად აღიარებულმა 34 წლის ზურაბ ახვლედიანმა,—გავაუმჯობესოთ რაიონის მომარაგება სურსათითა და საქონლით, გამოუყენებელი რესურსების მოძიება როგორც რაიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ, გაცვლითი ოპერაციები.

ცენტრს მინიჭებული აქვს დიდი უფლებები—ფართო მოთხოვნილების საქონლისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა და რეალიზაცია, ამა თუ იმ ნაწარმის გამოფენის ორგანიზაცია რეკლამირების მიზნით, აგრეთვე უცხოელ პარტნიორთა ძიება და ერთობლივი საწარმოების მშენებლობა.

ვმუშაობთ რაიონის ხელმძღვანელობასთან ურთიერთმოქმედებით,—განაგრძობს ზურაბ ახვლედიანი,—ისინი ჩვენ გვეხმარებიან, მაგალითად, გამოგვიყვეს შენობა, ტრანსპორტი, სხვა საშუალებები, ჩვენ კი თავის მხრივ, ვეხმარებით რაიონს სიძნელეთა დაძლევაში, ვასრულებთ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების, სხვა სამსახურების შეკვეთებს.

ასე იყო, კერძოდ, კომბინირებული საკვების მხრივ. მისი მწვავე ნაკლებობა სერიოზული გართულების საფრთხეს ქმნიდა. ცენტრის მუშაკებმა შესძლეს მოენახათ ხელსაყრელი გაცვლა, აღმოფხვრეს ამ ძვირფასი პროდუქციის დეფიციტი. ბუნებრივია, არც მეორე მხარეს წაუგია.

ცენტრის მუშაობა რომ განმარტა, პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა რომან კიზირიამ აღნიშნა მისი ეფექტიანობა. ცენტრმა მოკლე ხანში შეძლო ბევრი რამისათვის მიეღწია, კერძოდ, გააუმჯობესა რაიონის მოსახლეობის მომარაგება შაქრით, ხე-ტყის მასალით. ის იმდენად ენერგიულად მოქმედებს, რომ უკვე საჭირო ხდება მისთვის სასაწყობო სათავსოს გადაცემა. კომერციული ცენტრის შექმნა არსებითად საბაზრო ეკონომიკის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

(საინფორმაციო სააგენტო საქართველო)

რეზონანსი

●

გაზეთ „ლეჩხუმში“ გამოქვეყნდა წერილი „არ დააგდებ ძველსა გზასა?!“ წერილის შინაარსი მკითხველისათვის ცნობილია. მსურს ჩემი აზრი გამოვთქვა ზოგიერთ მომენტზე, რომლებიც ამ წერილშია ხაზგასმული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მეხება მე, როგორც ორბელის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

28 ოქტომბერს ორბელის საარჩევნო უბანში დილით გამოცხადდა რაიონის პროკურორი დარეჯან სილაგაძე, დამადასტურებელი მოწმობა კი, რომ მას უფლება ჰქონდა მიეღო მონაწილეობა არჩევნების ნორმალურ მსვლელობაში, 26 ოქტომბერს გადმომცა.

უბანში გამოცხადდა მარინე გივის ასული ბურჯალიანი, რომელმაც მოთხოვნის შემდეგ, თუ რა დამადასტურებელი მოწმობა ჰქონდა არჩევნების მიმდინარეობაში მონაწილეობისა, მიპასუხა რომ როგორც რაიკომის მუშაკს უფლება მაქვს დავესწრო არჩევნებსო. ამომრჩევლებმაც მოთხოვეს სათანადო საბუთი, მაგრამ არ აღმოაჩნდა.

რაც შეეხება იმას, რომ პროკურორი ამომრჩევლებს ეკითხებოდა, თუ ვის მისცეს ხმა და თუ კი ეტყოდნენ, რომ მრგვალ მაგიდას—იმუქრებოდა ან ურჩევდა, რომ კომპარტიას მიეცით ხმაო, ასეთი არ ყოფილა.

აქვე მინდა დავამატო, რომ როცა დარეჯან სილაგაძე გამოცხადდა უბანში, მარინე ბურჯალიანი იქ დახვდა.

არც ასეთი ყოფილა, თითქოს პროკურორმა მე მითხრა—კანონს ვერ მასწავლიო.

რაც შეეხება იმას, დ. სილაგაძემ თქვა, რომ ხმის მისაცემ კაბინაში 2-3 კაცის ერთად შესვლა კანონით არ შეიძლებაო, სინამდვილეა.

თამურ ბურჯალიანი.
ორბელის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

●

1990 წლის 8 ნოემბერს გაზეთ „ლეჩხუმში“ გამოქვეყნდა ლეჩხუმის რეგიონალური ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის გამგეობის წერილი „არ დააგდებ ძველსა გზასა?“, სადაც აღნიშნულია რომ რაიონის პროკურორმა დ. სილაგაძემ თითქოსდა მე, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი მ. ბურჯალიანი შემიყვანა ხმის მისაცემ შენობაში, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არჩევნების დღეს მე, როგორც ამომრჩეველი ხმის მისაცემად დ. სილაგაძეზე ადრე მივედი, ხოლო ის ფაქტი, რომ ის ემუქრებოდა ამომრჩევლებს და აცხადებდა, რომ ისინი დარიგებულები არიან, სრული სიყალბეა.

მარინე ბურჯალიანი.

არა მხოლოდ ჩინისათვის...

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების პროცესებთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ჩვენი მუშაობის ფორმებსა და შინაარსშიც აისახება. ამიტომ საქმეს არაფერს არგებს, თუ ჩვენს საუბარს დავიწყებდით ძველი მყვირალა ფრაზებითა და ნაკლებად-დამაჯერებელი საზეიმო პატაკებით. უკეთესად მიმაჩნია პირდაპირ ვთქვათ იმ ტკივილების შესახებ, რომელიც გაგვაჩნია საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

რა დასამალია, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გართულდა ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში და მათ შორის ჩვენს რაიონშიც. გართულება გამოიხატება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებათა ზრდაში, ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა სიმრავლეში. აქვე უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ მნიშვნელოვნად მატულობს ქონებრივი დანაშაული, ყაჩაღობა, პირადი ქონების ქურდობა და ა. შ.

ციფრები, რომლებიც აქ მინდა მოვიტანო, მეტისმეტად არასასიამოვნო და აღმაშფოთებელია, მაგრამ სინამდვილეს ვერ გავექცევით. 1988 წელს რესპუბლიკაში მოხდა 155 მკვლელობა, 1989 წელს 175, წლეულს 10 თვეში კი—205 მკვლელობა (?!). დასანანია, რომ დანაშაულს ჩადიან ძირითადად ახალგაზრდები, ისინი ვინც ერს უნდა ამრავლებდეს და აძლიერებდეს. ეროვნულ ტრაგედიად იქცა ავტოავარიები. შარშან 2040-ზე მეტი ავარია მოხდა, რომელსაც შეეწირა 589-ზე მეტი სიცოცხლე. ხოლო მძიმედ დაშავდა 2417-ზე მეტი ადამიანი. წელს ეს ციფრები, სამწუხაროდ მზარდ ხასიათს იღებს.

როგორია ოპერატიული ვითარება ცაგერის რაიონში? 1988 წელს რაიონის ტერიტორიაზე მკვლელობა არ მომხდარა, 1989 წელს ერთი მკვლელობა მოხდა, 1990 წელს კი—4. დასანანია, მაგრამ ფაქტია ოჯახის წევრი ოჯახის წევრს, მეზობელი მეზობელს, ლეჩხუმელი ლეჩხუმელს არ ინდობს და მერე, ვითომც არაფერი, მიმართავს ათასგვარ ხრიკებს პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად.

ლეჩხუმში ოდითგან სახლის კარებს ვინ დაკეტავდა. დღეს კი რაიონში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის ფაქტები გახშირდა. ხშირად ამის წინა პირობა იქმნება თვით მოქალაქეთა მიერ. მიუხედავად რამდენიმე განცხადებისა, ქალაქში არც ერთი ბინა არ არის აყვანილი პულტზე დაცვის ქვეშ. ხშირად ავტომანქანებს, თუ სხვა მატერიალურ ფასეულობას ვტოვებთ ქუჩაში უმეთვალყურეოდ და უპატრონოდ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთხოვო ჩვენს მოსახლეობას. სანამ კანონი იკანონებს, სანამ ფართო საზოგადოება და ადმინისტრაციული ორგანოები ერთობლივად დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებდეს დამნაშავეობას, პროტენციურ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ვიყოთ ფხიზლად, ნუ გამოვიჩენთ დაუდევრობას პირადი თუ საზოგადოებრივი ქონების დაცვის საქმეში.

გაიზარდა საზოგადოებრივი ქონების ქურდობის და ქურდობის მცდელობის ფაქტები. ეს ძირითადად განპირობებულია წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების გულგრილი, სწორი ვიქნები თუ ვიტყვით, დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულებით საზოგადოებრივი ქონების დაცვისადმი, რაც ხელის შემწყობი პირობაა დანაშაულის ჩადენისა. მომავალში ყველა მსგავსი დანაშაულის ჩადენის დროს უნდა ვიმსჯელოთ ობიექტის ხელმძღვანელის ქმედებაზე, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ასეთი ვაიხელმძღვანელი ხელს ითბობდეს ობიექტზე მომხდარი სახელმწიფო ქონების დატაცების დროს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ იზრდება დანაშაულობათა რიცხვი? იზრდება იმიტომ, რომ ჩვენ ვებრძოდით და ვებრძვით შედეგებს და არა მიზეზებს. მიზეზები კი გახლავთ ის უარყოფითი პროცესები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იკრებდა ძალას. უნდა გვცოდნოდა, რომ პატიოსანი შრომის გაუფასურება კარგს არ მოიტანდა და არც მოიტანა. პირიქით, ბევრს უბიძგა ხელი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლა-გაანალიზება. ეს ხელ-ფეხს გაგვიხსნის დანაშაულის წინააღმდეგ [illegible] ყველამ მოიტანა და ამამენ [illegible] ფეხ შეკრული [illegible] ზი სწორედ ის არაორგანიზებული მუშაობაა, რომელიც ზემოდან კარნახით წარმოებს ჩვენში. მაგრამ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩვენს მუშაკს არ შეიძლება „ხელ-ფეხი გაუხსნათ“ რადგან უკანასკნელ პერიოდში საერთოდ ჩვენს რიგებში თავი მოიყარა ისეთმა პირებმა, რომლებიც მოვდნენ თანამდებობისათვის, ჩინისთვის და პირადი განდიდების მიზნით. საჭირო იქნება ასეთი პირისაგან განთავისუფლდეს ადმინისტრაციული ორგანოები, ვინც დარჩება, მათ მიეცეს მუშაობის ყველა საშუალება.

მიგვაჩნია, რომ ამიერიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვლება. ახალი პარლამენტი, რომელიც არჩეულია მრავალპარტიულ და სრულიად დემოკრატიულ პრინციპებზე, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მართლწესრიგის განმტკიცებას და სამართლიანობისათვის ბრძოლას კი არ ჩაატოვებს მარტო მილიციას, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ მისი მხარდაჭერით შემტევს და მიზანსწრაფულს გახდის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას.

ა. ჩიქოვანი,
შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე. მილიციის მაიორი.

პოლიომიელიტი საშიში დაავადებაა

საქართველოს მეზობლად მდებარე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღირიცხა პოლიომიელიტის შემთხვევის დიდი ოდენობა. მიგრაციულმა პროცესებმა განაპირობეს ამ დაავადების შემოტანა საქართველოში. დღეისათვის რესპუბლიკურ ინფექციურ საავადმყოფოში ჰოსპიტალიზებულია პოლიომიელიტით დაავადებული 24 ბავშვი და გაცილებით მეტია იმ პირთა ოდენობა, რომლებიც ატიპიური ფორმით არიან დაავადებული, არ არიან იზოლირებულნი, გამოყოფენ გარემოში ვირუსს და ქმნიან საშიშროებას ამ დაავადების მასიური გავრცელების თვალსაზრისით.

პოლიომიელიტი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ნერვული სისტემის, ნაწლავების და ცხვირის ლორწოვანის დაზიანებით. დაავადების გავრცელების წყარო არის მხოლოდ ადამიანი. ძირითადად ავადდებიან 0-10 წლამდე ბავშვები. დაავადების გამომწვევის გადაცემა ხდება პირის ღრუში დაბინძურებული ფაქტორის მოხვედრით, თუმცა არ გამოირიცხება დაავადების გავრცელება აირ-წვეთოვანი გზით.

ვირუსი არის 3 სეროტიპის, ეკუთვნის ენტეროვირუსებს. უძლებს გაყინვას, მაგრამ მალე იღუპება ულტრაიისფერი სხივების, სადეზინფექციო ხსნარების მოქმედებით. ადამიანის გამონაყოფებში ინახება 6 თვემდე. ვირუსი ორგანიზმში ხვდება ცხვირ-ხახის ლორწოვანიდან ან ნაწლავებიდან, საიდანაც გადადის რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში, იქიდან კი სისხლში. აღწევს რა ნერვულ უჯრედებამდე, იწვევს იქ მორფოლოგიურ ცვლილებებს. დაავადების გადატანის შემდეგ არის მყარი, მაგრამ ტიპოსპეციფიური იმუნიტეტი, ინკუბაციური პერიოდი 2-35 დღეა. განარჩევენ არაპარალიტურ და პარალიტურ ფორმას. არა პარალიტური მიმდინარეობა ხანმოკლე ცხელებით, მცირე ხველით, სურდოთი. ზოგჯერ აღინიშნება დისპეპსიური მოვლენები. პარალიტური ფორმის განვითარების პროცესში განარჩევენ 4 სტადიას: პრეპარალიტური, პარალიტური, აღდგენითი, ნარჩენი მოვლენების. დაავადება იწყება ზოგადი სისუსტით, აღინიშნება ტემპერატურა, სურდო, გაუვალობა ან ფაღარათი, გრძელდება 1-3 დღე. შემდგომ 2-4 დღის განმავლობაში ტემპერატურა ნორმალიზდება, შემდგომ კი იწყება ცხელების მეორე ტალღა, ტემპერატურა მკვეთრად მატულობს, მდგომარეობა მძიმდება, ავადმყოფს აქვს თავის ტკივილი, ღებინება, მიდრეკილება ძილისადმი, მოთენთილობა, ტკივილი ზურგის კიდურების მიდამოში, ტონურ-კლონური კრუნჩხვები, ოფლიანობა, კანზე წითელი ლაქები, „ბატისკანი“ და ა. შ. ზოგჯერ აღინიშნება გონების დაბინდვაც. პრეპარალიტური სტადია გრძელდება 3-5 დღე.

დამბლა ვითარდება მოულოდნელად, შეიძლება განვითარდეს რამდენიმე საათის განმავლობაში. ზიანდება უმეტესწილად კიდურების კუნთები, შეიძლება განვითარდეს ტანისა და კისრის კუნთების დამბლა. დამბლის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნება პერიოდული ტკივილები კუნთებში (გრძელდება 1-2 თვე). შეიძლება აღინიშნებოდეს მენჯის ღრუს ორგანოების დისფუნქცია.

დიაგნოსტიკა ადრეულ სტადიაზე ძალიან ძნელია. მკურნალობა ეფექტური შეიძლება იყოს მხოლოდ პრეპარალიტურ სტადიაზე გამაგლობულინის შეყვანით.

(პროგნოზი: როდესაც არის სასუნთქი დიაფრაგმის კუნთების დამბლა და მოგრძო ტვინის დაზიანება, გამოსაღალი მეტად მძიმეა. კეთილსაიმედო მიმდინარეობის დროს დაავადებაგადატანილთა ხვედრია ინვალიდობა მყარი ატროფიული დამბლის გამო).

როგორც ვხედავთ, დაავადება მეტად სერიოზულია, მით უმეტეს, რომ სპეციფიკური სამკურნალო საშუალება არ არსებობს. შედეგი სავალალოა, ზოგჯერ საბედისწეროც კი. შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამოსავალი არის ბავშვთა მასიურ იმუნიზაციაში. იმუნიზაცია ტარდება ცოცხალი ვაქცინით, რომელსაც გართულებები და უკუჩვენებები თითქმის არ აქვს. ამასთან აცრა დაკავშირებული არაა ინექციასთან.

ვთხოვთ ყველა მშობელს გამოიჩინონ ყურადღება და გულისხმიერება, მიაკითხონ ამცრელ კაბინეტს, ვინაიდან დღეს გამოჩენილი დაუდევრობა ხვალ შეიძლება მძიმე შედეგის მომტანი იყოს. ნუ გაიმეტებთ ბავშვებს ინვალიდობისათვის.

ი. კოპალიანი,
რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ექიმი ეპიდემიოლოგი.

სამშობლო დედიდან იწყება

ოდითგანვე ერის ფიერარიცხოვნება სტკიოდა ქართველს. ამიტომაც უთქვამს: „ერთი შვილი—არა შვილი, ორი შვილი—ვითომ შვილი, სამი შვილი—კიდევ შვილი, ოთხი შვილი—მართლა შვილი!“.

დღეს განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ ამ პრობლემის შესახებ, ეძებენ მდგომარეობის გამოსწორების გზებსა და საშუალებებს, მაგრამ ყველა საშუალება უძლური იქნება, სანამ თითოეული ახალგაზრდა არ შეიგნებს, რომ ერის გამრავლება უცილობელი და საშური საქმეა.

ქართველის დედას ცალ ხელში ხმალი სჭერია, ცალი ხელით აკვანი ურწევია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს პატარა ქალაქში უამრავი დაუოჯახებელი ცხოვრობს. მარტო ერთ გვარში 22 დაუოჯახებელია. დროსა და ენერგიას რომ კარგად ჩაცმა-დახურვას, სამსახურს ახმარენ, უფრო ძვირფასი რამ ავიწყდებათ—ოჯახი, შვილები, ერის მომავალი.

აბა, ჰკითხეთ ჩხუტელში მცხოვრებ ოლღა გუგავა-კვირკაშვილს, როგორ უხამებდა საკოლმეურნეო შრომას შვილების აღზრდას—შეუძლებელი და შეუთავსებელი ალბათ არაფერია, მთავარია მონდომება და სიყვარული,—გიპასუხებთ იგი.

გუშინდელ დღესავით ახსოვს 18 წლისა არც კი იყო სიმონ კვირკაშვილმა რომ ცოლობა თხოვა. ოლღამაც ერთგულება შეჰფიცა და ორივემ ექვსი ათეული წელი ერთად ზიდეს მრავალშვილიანი დედ-მამის მძიმე ჯაპანი. შეუღლებიდან წლისთავზე ოჯახში პირველი სიხარული ვაჟა გაჩნდა, მერე ანზორი, ვაჟიანობით ორმაგად გაიხარა ოჯახმა, მშობლებს ძალა და ხალისი შეემატათ. ვაჟების მერე ვენერას აკვანი დაირწა. შვილების სიყვარულსა და საკოლმეურნეო შრომაში დრო შეუმჩნეველად გადიოდა—და იქუხა ომმა, სამშობლომ (ასე გვწამდა ყველას მაშინ) უხმო ვაჟკაცებს. სიმონ კვირკაშვილიც ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. დარჩა მარტო სამი მცირეწლოვანი შვილით ოლღა. ახსოვს ბევრი დაღვრილი ცრემლი, ხამთრის სუსხი, გაჭირვება, მაგრამ ოჯახსა და შვილებზე ხრუნვას არ მოუდრეკია. ისევ მხნედ დაჰვდა ნამარ, მკლავში დაჭრილ ოჯახის უფროსს. ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. ოლღა და სიმონიც შეუერთდა მის მდინარებას. კვლავ აკვნების სიმრავლეა კვირკაშვილების ოჯახში. ნელი, თალიკო, ნანა, გულო,—სამი ვაჟი და ხუთი ქალი დაოფრთიანეს. უჭირდათ, განა არ უჭირდათ, მაგრამ სწორედ ეს არის სიყვარული, ფიქრი მომავალზე, ამიტომაც ვნატრობთ ასეთი ოჯახები გვიმრავლოსო.

ქალბატონი ოლღა ახლა 77 წლისაა. 17 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი ჰყავს. მამის კერაზე გურგენი აგრძელებს ცხოვრებას. რძალი დარეჯან სანიკიძე საკუთარ დედასავით უვლის ცალუღელად დარჩენილ დედამთილს. წარბს არ შეიხრის ოლღას და სიმონის 37 მონაგარი რომ ერთად შეიყრის თავს.

მართალია ოლღა მოწუცდა, მაგრამ ახლაც რჩევას ეკითხებიან, მის აზრს იზიარებენ. ოჯახში დღესაც სარკედ ქცეულა დედის სულიცა და თვალებიც. სხვას რას დაინახავენ ამ სარკეში შვილები, თუ არა პატიოსან, დიდ შრომა-გამოვლილ ცხოვრებას, კეთილ ფიქრსა და ფესვს.

იძლიეროს კვლავ ამ ფესვმა.

ბ. ბაქრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

ქართული ჭიდაობა

სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა საშუალო სკოლების პირველობა ქართულ ჭიდაობაში. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის ამ სახეობამ თანდათან წამოიწია ფეხზე. მოჭიდაკეთა თითქმის უმრავლესობა კარგად ფლობს ქართული ჭიდაობის ელემენტებს, რაც მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს.

შეჯიბრებამ გამოავლინა რაიონის ჩემპიონები და გუნდური ადგილები.

პირველ წონაში 49 კილოგრამამდე რაიონის ჩემპიონი გახდა ილია ბენდელიანი, მეორე იყო კახა ბენდელიანი (ორთაფე ბარდნალის საშუალო სკოლიდან).

მეორე წონაში (52 კილოგრამამდე) სუფთა გამარჯვებით პირველი ადგილი მოიპოვა ილია ბერეკაიძემ, მეორე იყო ილია ბურცხვალაძე (ცაგერისა და ჩუტელის საშუალო სკოლიდან).

მესამე წონაში (56 კილოგრამამდე) ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო და რაიონის სკოლების ჩემპიონი გახდა თენგიზ ცანავა (ცაგერის საშუალო სკოლა). მასთან ფინალში წააგო და მეორე ადგილზე გამოვიდა ტარიელ ჭაბუკიანი (ლასურიაშის საშუალო სკოლა.

მეოთხე წონაში (60 კილოგრამამდე) ფინალში ერთმანეთს ეცილებოდნენ პროფსასწავლებლის მოსწავლეები გოჩა კანჩაველი და სპარტაკ გუგავა, გაიმარჯვა პირველმა და მოიპოვა პირველი ადგილი, სპარტაკი კი მეორე ადგილს დასჯერდა.

მეხუთე წონაში (64 კილოგრამამდე) რამდენიმე წელია პირველობას არ თმობს სულხან ჯამბურიძე ლასურიაშის საშუალო სკოლიდან, მეორეზე გასულიდა ბელიდ მუშკუდიანი ცაგერის საშუალო სკოლიდან.

მეექვსე წონაში (68 კილოგრამამდე) ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო მერაბ ქარსელაძემ და პირველი ადგილი მოიპოვა, მეორე იყო ხურაბ სვანიძე. (ცაგერისა და ლასურიაშის საშუალო სკოლებიდან).

მეშვიდე წონაში (73 კილოგრამამდე) ფინალში ეოთხანეთს შეხვდნენ ბადრი ბენდელიანი და მალხაზ ხეცურიანი. საინტერესო ორთაბრძოლა მოიგო ბადრი ბენდელიანმა და პირველი ადგილიც მოიპოვა. მეორეზე გავიდა მალხაზი (ცაგერის საშუალო სკოლისა და პროფსასწავლებლის მოსწავლეები).

მერვე წონაში (73 კილოგრამი და ზევით) მეორედ გახდა რაიონის ჩემპიონი კობა ქომეთიანი, ხოლო მეორეზე გამოვიდა მალხაზ ხეცურიანი (ორთავე პროფსასწავლებლის მოსწავლეები). შეჯიბრებამ გამოავლინა ვუნდური ალიტეტი 13 ნაკრებმა ქულით პირველი ადგილი ეკავა ცაგერის საშუალო სკოლას. 11 საჯარიმო ქულით მეორეზეა ცაგერის პროფსასწავლებელი. ხოლო 20 საჯარიმო ქულით მესამე ადგილს დასჯერდა ლასურიაშის საშუალო სკოლის გუნდი. შეჯიბრების საპრიზო ადგილებზე გამოსულ მოსწავლეებს და გუნდებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სიგელები და დიპლომები.

სპარტაკიადა გრძელდება.

ჯ. შაუგულიანი.

ვისაც მოგზაურობა გიყვართ

წყალტუბოს ტურისტულ-საექსკურსიო კომპლექსი აწყობს ავიოჯგუფების მოგზაურობას.

ლენინგრადში—25-დან 29 ნოემბრამდე; 23-დან 27 დეკემბრამდე;

რიგაში—25-დან 29 ნოემბრამდე;

ტალინში—30 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე;

ვილნიუსში—19-დან 23 დეკემბრამდე;

ტაშკენტში—20-დან 26 დეკემბრამდე.

ერთი საგზურის ღირებულება მარშრუტების მიხედვით 250 მანეთიდან 275 მანეთამდეა.

ამასთან, 10 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით ეწყობა მოგზაურობა ტურისტული მატარებლით, მარშრუტით:

წყალტუბო—ხარკოვი—მინსკი—ვილნიუსი—რიგა—ტალინი—ლენინგრადი—ნოვგოროდი—წყალტუბო.

საგზურის ღირებულება 236 მანეთია. ამ თანხაში შედის საექსკურსიო მომსახურება, სამჯერადი კვება ვაგონ რესტორანში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტურისტულ-საექსკურსიო კომპლექსს. ქ. წყალტუბო, რუსთაველის 39. ტელეფონი 2-33-87.

წყალტუბოს ტურისტულ-საექსკურსიო კომპლექსის დირექცია.

თქვენთვის, დიასახლისებო

კარტოფილის ან ბოსტნეულის გარჩევა-დასუფთავებისას თითები რომ არ გაგიშავდეთ, სასურველია იხმაროთ უყანგი დანა, ამავე დროს ხელებზე წინასწარ გადაივლეთ ძმარი, რომელიც თავისით უნდა შეგაშრეთ ხელზე.

თუ კერძი დაგიმლაშდათ, 100-150 გრამი მჟადის ფქვილი, მოთავსებეთ პაწაწინა პარკში ძაფით ჩაკიდეთ კერძიან ქვაბში და დატოვეთ 10-15 წუთით.

ბილოცავთ

ნელი, გურამ ლომთაძეებს

გილოცავთ ბესიკის ბედნიერებას. ვუსურვებთ ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

როზეტა ქვარიანი, ნონა, ნარგიზა, რობერტ ასათიანები, მერი ყურაშვილი, სვეტლანა ნემსწვერიძე.

ბილოცავთ

სევერიან მიხეილის ძე კოპალიანს

გილოცავთ 80 წლის შესრულებას, დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ.

ნორა და ვივი გოლეთიანები.

გურამ, მთვარისა გურჯალიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

ორბელის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ზაირა აკაკის ასულ გრეგვაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ფლევ სიხარულსა და სიყვარულს. თქვენი სითბო და ღიმილი ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ქმარ-შვილს.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

მაკა ასკალონის ასულ მურცხვალაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. ქრისტეს ნათელით განათებული ყოფილიყოს შენი მომავალი.

ცაგერის საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლეები.

ჟორა ვიტალის ძე ახვლედიანს

გილოცავთ 60 წლის შესრულებას, იხარე და იბედნიერე ცოლ-შვილით.

ვენერა, ირინე, რაუდენ, გია, გოგიტა ლიპარტელიანები, თამილა, დათო ჩიქოვანები.

რედაქტორის მოადგილე

მ. ქუელაძე.

ციალა, ლალი, მარიკა, ინგა დოლბაიები, ვალერი, ლანა, ლევან კილასონიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი

ბიძაშვილები ოთარი, ბიჭიკო, გიორგი კვირკაშვილები, რუბენ ბენდელიანი, იური საღინაძე, კოწია სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე თანა დოლბაიას მეუღლის

მიხეილ კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები ბიჭიკო, ჯუმბერ, გოგი, ზაურ, თემურ, ვალიკო კოპალიანები, პლატონ ირემაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ კვირკაშვილი

ნინა გოლეთიანი, ნორა ჩაკვეტაძე, ვალიკო გაგელიძე ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

მიხეილ კვირკაშვილი

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა თვარაძეს ბიძის

ვენერი თვარაძის

გარდაცვალების გამო.

ტვიშის საქმიო ამბულატორიის, საფერშლო პუნქტებისა და აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა ნემსწვერიძეს ბიძის

შალვა ვიქტორის ძე ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე თინა დოლბაია, შვილი ნინო, ძმები შოთა, ვალოდია, რძლები ნორა არაბიძე, შურა ტვილდიანი, ლალი ამაშუკელი, ციალა დოლბაია, ძმისშვილები რუსუდანი, ავთანდილი, ნატო, ნათელა, სიძე ჯანსუღ კვანტალიანი, ძმისშვილიშვილები, ცოლისდები ნინა, თამარი, ქვისლი ალექსი ასათაშვილი, ცოლისდისშვილები, ცოლისძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი

დაკრძალვა 18 ნოემბერს, კვირას, ქ. ცაგერში.

და ლიდა, ძმა როსტომ ახვლედიანები, დისშვილი ლეილა ნემსწვერიძე, რძალი გულნაზი გოგოლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ბიქტორის ძე ახვლედიანი

პანაშვიდი 15-16 ნოემბერს, დაკრძალვა 17 ნოემბერს 14 საათზე ქ. ჭიათურაში. გამოსვენება ნინოშვილის ქ. №12-დან.

ილენი ნემსწვერიძე, ეუფუნა, ჯიმშერ, ჯემალი კოპალიანები, შაქრო ბენდელიანი, ბორის აბაშიძე, მზია ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რადიონ კოპალიანი

ვახტანგ გუგავა, ჟორა ხეცურიანი, ბიჭიკო მურცხვალაძე, დავით შაუბულიანი, ოთარ გიორგელიძე, არჩილ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი

შვილი მარინე, სიძე დათო, შვილიშვილი გიორგი, მძახლები შურა, ოთარ ხაბულიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ესტატეს ასული გოლეთიანი-მელაძე

დაკრძალვა 18 ნოემბერს, კვირას, ქ. ცაგერში, გამოსვენება ბარათაშვილის ქ. №147-დან.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მარინე მელაძეს და დათო ხაბულიანს დედისა და სიდედრის

ქეთევან გოლეთიანის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განყოფილების გამგე

მიხეილ გიორგის ძე

კვირკაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს თინა დოლბაიას და ნინო კვირკაშვილს მეუღლისა და მამის

მიხეილ კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

რამაზ კვირკაშვილი, შადიმან დავითულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ესტატეს ასული გოლეთიანი-მელაძე.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რამაზ კვირკაშვილს დეიდის

ქეთევან ესტატეს ასული გოლეთიანი-მელაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 381100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-21, რედაქტორის მოადგილე — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 ხაკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის—22-17, ხაამწყობრო ხაამქროს—22-23, გაზეთი გამოდის ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სხრ ხელმძღვანელი ხალხის ეროვნული კომიტეტის ქუთაისის ტელეგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.